# დროება

ყოველდღიური სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 4 ოთხშაბათი, 6 იანვარი 1910 წ. № 4



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ აბრუნებენ. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „Дроэба“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „ДРОЭБА“, И. С. Агладзе.


**თამარ იასონის ასული ქუმსიშვილისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 7 იანვარს, კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისიშვილის, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის

## მიშა ქუმსიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 11½ საათზე. (1—807—1)


წარმოდგენა № 25. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 25.

შაბათს, 9 იანვარს, 1910 წელს.

◀ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი ▶

გამართავს წარმოდგენას და ლიტერატურულ საღამოს ქართულ დრამატიულ დასის მონაწილეობით.

## ლიტერატურული განყოფილება

გასამართლება უმთავრეს პირთა ქართულ მწერლის ალ. ყაზბეგის რომანის „მოძღვარისა“.

მონაწილეობას მიიღებენ: კნიაჟნა ნინო ჩერქეზიშვილი, კიტა აბაშიძე, შიო არაგვისპირელი, ვახტანგ ღამბაშიძე, გიორგი გვაზავა, ფ. გოგიჩაიშვილი, ივანე გომართელი, პ. გოთუა, ალ. დიასამიძე, ვ. დემიდოვი, ალ. ყანჩელი, გ. ლასხიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. მაყაშვილი, ვ. მუსხელიშვილი და სხვანი

## შ ე შ ლ ი ლ ი ა

ფსიხოლოგიური ეტიუდი 3 მოქმ. თარგ. ვ. აბაშიძესი.

გორლეიგის როლს შეასრულებს **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. მღთამე, ბ-ნნი ზ. ბედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ვ. მატარამე.

რეჟისორი **ვლ. ა.-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 6 მ.-მდე; პარტერი 3 მ. 25 კ.-დან მანეთამდე. გალერეა 60 კ.-დან 40 კ.-მდე. (3—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—78).



## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

დღეს, 6 იანვარს, 1910 წელს ორი სადღესასწაულო წარმოდგენა. **დღისით დაკლებულის ფასებით.** დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. პროგრამმა შედგენილია განსაკუთრებით ბავშვთათვის. მონაწილეობას იღებენ ყველა კლოუნები. უკანასკნელად მონაწილეობს მაიმუნი კაცი და ქ-ნი რუტსი თავის გაწვრთნილ ძაღლებით. დასასრულ წარმოდგენილ იქმნება **„ბაბა იაგა“.** საღამოს წარმოდგენა დაიწყება 8½ საათზედ. გრანდიოზული პროგრამმა. პირველად დადგმული იქნება **ხანდრალიონი ანუ ბრძოლის ფეხსაცმლები.** მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასასრულ **„ძმა და დარაჯი“.**

დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ს.—11) გამგე **გამსახურდია.**

მიიღება ხელის მოწერა 1910-წ.

## კვირეული საპოლიტ. სალიტერ. და სამეცნ. ჟურნალ

## საქართველოს მოამბე

ფასი ერთის წლით 4 მ. 50 კ., ექვსი თვით 2 მ. 50 კ., უცხოეთში 6 მ.

მე-11 ნომრიდგან დაიბეჭდება მოპასანის საუკეთესო რომანი „ცხოვრება“.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянства № 117.

ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნოს: Головинскій пр. домъ Манташева номера „МУХРАНИ“, Семену Кипіани. (5—1)

## სამუსიკო სკოლა

**ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოებისა.**

პირველ იანვრიდან 1910 წლ. განხლდება მოწაფეების მიღება შემდეგ სპეციალურ მუსიკალურ კლასსებში: ფორტეპიანო, სკრიპკა, ვიოლონჩელი, კონტრაბასი, ელემენტარული თეორია, ნოტების კითხვა, (solfegio) მუსიკ. ენციკლოპედია და ხოროს კლასსში. ხმების გავარჯიშებისათვის, სიმღერის მასწავლებლად (solo) მოწვეულია, რუსულ ოპერის არტისტი **ნ. დ. კოვალენსკი.** გადასახადი ფასი მეორე ნახევარი წლისათვის, სიმღერა (solo) ღირება 37 მ. და 50 კ. დანარჩენ სპეციალურ ინსტრუმენტებზე კი—30 მანეთი. მოწაფეთა მიღება და ხმების გამოცდა მათთვის, ვისაცა სურთ მონაწილეობის მიღება ქალთა და ვაჟთა გუნდში, დანიშნულია ყოველ დღე, კვირა-უქმეობითაც, დილის 10 ს. ვიდრე 2-მდე და ნაშუადღევს 4—7 საათზე.

**სწავლა დაიწყება 7 იანვარს**

ადრესი: საპიტრის ქუჩა ყიენტის სახლი N 18. (5—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაჩაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—240)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**მ. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერიოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. ს აავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—98)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—86)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—88)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გიმნაზიის ქუჩა), აბულაძის მეხაზვევი, ოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—7

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—19)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ, ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ,' სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—ნ.—135)

**ექიმი ზ. მაგაკიანი** **შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—68)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—142)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—336)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—69)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—76)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ჯუთზე). (100—ზალ.—102)

**პატრონის ავადმყოფობის გამო იყიდება საუკეთესოდ მოწყობილი**

## ღვინის „სარდაფი“

ავჭალის ქუჩისა და ანდრეევის ქუჩის კუთხეში; მეცხრე პოლიციის ნაწილში, სულხანოვის სახლში, № 38 1. მსურველს შეუძლიან აიღოს იჯარითაც ხელმისაწდომ პირობებში. (2—806—2) ვ. თევდორაშვილი.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## მცხეთის დედათა მონასტრის 4-კლას. ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ

პარასკევს, 8 იანვრისათვის დანიშნული საღამო და კონცერტი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

## გადაიდო

კვირას, 24 იანვრისათვის.

ნაყიდი ბილეთები ისევ გამოდგება, საღამოს დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(3—1) საღამოს დიასახლისი **კნ. დ. ჯავახიშვილისა.**

**ქუთაისში** **ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. და ვენერიულ სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან და აგრეთვე **ცისტოსკოპის და ურეტროსკოპის** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო თ ე რ ი ა პ ი ა—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—გვ.—1)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დადგა ახალი წელიწადი და რამდენიმე ახალი ქართული გაზეთიც გამოვიდა. სხვათა შორის, ი. იმედაშვილის რედაქტორ-გამომცემლობით გამოვიდა ყოველ-კვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ჟურნალის აზრად დაუსახავს თეატრისა და ხელოვნებისათვის სამსახური. იგი სწერს:

ხელოვნების უწმინდეს ტაძრის, ადამიანთა გრძნობა-გონების გამაფაქიზებელ ერთ უდიდეს იარაღის განხილვა, სცენის დანიშნულების გარკვევა, ცხოვრების შავ-ბნელ კუნჭულთა გაშუქება, შეძლებისა და-გვარად—აი, რა არის დანიშნულება ამ ახალის გამოცემისა...

ჟურნალის მიზანი იქნება საერთოდ ადამიანთა საკეთილ-დღეო მუშაობა: ჭეშმარიტების გაშუქება და უკეთურების დათრგუნვა.

მიზანი დიდია და ამის აღსრულებას, რა თქმა უნდა, დიდი ძალა და ღონე უნდა. შესძლებს თუ არა ახალი ჟურნალი ამას? ვნახოთ, მომავალი გვაჩვენებს. ეხლა-კი ვუსურვოთ წარმატება.

გამოვიდა ახალი ორშაბათის ქართული გაზეთიც—„ხალხი“. რედაქტორ-გამომცემლად გამოცხადებულია შ. საფაროვი. ვნახოთ, ეს გაზეთიც რას მოგვიტანს.

საზოგადოდ ამ ბოლო დროს გამრავლდნენ ქართული გაზეთები. ორ დღიურ გაზეთს გარდა ამ ჟამად გამოდის ყოველ თვიური ჟურნალი „განათლება“, ყოველ კვირეული ჟურნალები: „საქართველოს მოამბე“, „სხივი“, „მათრახი“, „მოსავალი“, „ფონი“ (ქუთაისში), „თეატრი და ცხოვრება“, „ხალხი“, „შინაური საქმეები“ (ქუთაისში), „მარცვალი“ (ბაქოში), „დიპლიპიტო“, საბავშვო ჟურნალები: „ჯეჯილი“ და „ნაკადული“. სულ თხუთმეტი პერიოდული გამოცემა! ამათ გარდა გამოდის კიდევ რაღაც ალმანახები.

თამამად შეგვიძლიან ვთქვათ: „ჩვენისთანა ბედნიერი განა სადმე არის ერი“...

## დღიური

ჩვენ, აფხაზები და... სხვები.

მეგობარი მკითხველი მაღალი პოლიტიკის ამბებს მოელის ჩემგან ანისეთებს, რომლებშიაც გამოუთქმელი გამოითქმის და დაფარული გამოცხადდების. მას ახსოვს ის ნეტარი დრო, როცა არც კონსტიტუცია არსებობდა, არც ბეჭდვის თავისუფლება, იყო მხოლოდ ერთი ცენზურა ბრძანებელი და ვსწერდით, რაც არ ეხებოდა არც მთავრობას, არც სარწმუნოებას, არც პოლიტიკას, არც ზნეობას, არც მთავრობის კაცებს—მათ შორის, რასაკვირველია, მეეზოვეებს, არც ვისიმე დაბადებას, არც ვისიმე სიკვდილს, განსაკუთრებით მოულოდნელს, მარცხად მოვლენილს სიკვდილს, არც საზოგადოდ ვისმე, ვისაც კი ვისმესთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა, ერთი სიტყვით, შეგვეძლო ყველაფრის წერა და ბეჭდვა მარტო ორის და სამის ცენზორის ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ რა შეეძლო ორს და თუნდ ოთხს ტვინმეისტერს და ჩვენც იგავებით, ხაზებით, წერტილებით გამოვსთქვამდით, რაც არ იყო ნაბრძანები და მკითხველის გულს წვდებოდა სიღრმემდის, აშფოთებდა, მკერდს უმაგრებდა, ამაღლებდა კეთილშობილის იმედით და უსამართლო ძლიერების სიძულვილით...

წარვიდა ეს სანეტარო დრო და დღეს თავისუფლებაა გამოცხადებული, არსებობს სათათბირო, გვყავან დეპუტატები, რომლებიც მედგრად იცავენ თავისუფლებას... მთავრობისათვის და ძალმომრეობას... ჩვენთვის! დღეს ხომ თავისუფალნი ვართ და თავისუფლად გვალაპარაკებენ, თუმცა ერთის პირობით კი, რომ თავისუფლად მოლაპარაკე ენა ძირშივე მოგვკვეთონ! დღეს ვუყვარვართ და გვეალერსებიან, გვკოცნიან... შხამიანის ბაგეთი! დღეს ხომ ბედნიერებას გვანიჭებენ... სიკვდილის შემდეგ, სიკვდილის შემდეგ!

მაშ რაღად გვინდა იგავები და წერტილები? პირდაპირ და მოურიდებლად ვსთქვათ: გაუმარჯოს...

გაუმარჯოს წესიერებას, და, მკითხველო, მე თუ არა ვსთქვი, რაც უნდა მეთქვა, ამის მიზეზია ის, რომ იგავიც მოჰკლეს და მაღალს პოლიტიკას ნულარ დაეძებ ჩემს ამბებში...

* * *

ამ შესავალის შემდეგ გადავალ დღევანდელ საუბრის საგანზე, რომლის სათაური ზევით ამოვწერე.

ჩვენს ცხოვრებაში ერთი საჭირბოროტო საგანთაგანია ჩვენი შინაური საერთაშორისო საკითხი, ჩვენი ურთიერთობა იმ ერებთან, რომლებიც მრავალი საუკუნეა ჩამოსახლებულან ჩვენში და მათი არსებობა შესისხლხორცებია ჩვენს არსებობას. უხსოვარ დროიდამ შეუერთებიათ თავიანთი ბედი საქართველოს ბედთან აფხაზებს, ბერძნებს, ოსებს, სომხებს. ზოგიერთს მათგანს საკუთარი ისტორიაც კი არა ჰქონია და პირსა და ლხინში მუდამ

განუშორებელნი იყვნენ ქართველებთან, და ქართველი ერის საქებრად უნდა ითქვას, რომ ძმურად ცხოვრობდა მეზობლებთან და არავითარი ძალმომრეობა არ უხმარია მათ წინააღმდეგ. მისი იარაღი არ ყოფილა ცეცხლი და მახვილი, პირიქით ხშირად ივიწყებდა თავის ინტერესს სხვის გულისათვის.

რუსის მთავრობის დამყარების შემდეგ მისი ერთი უდიდესი მისწრაფება იყო ჩვენი და ამ მეზობლების ერთმანეთზე გადამტერება. ჩამოგვაშორა ბერძნები, რომლების უმრავლესობა შავრაზმელთა ბანაკში გადაიყვანა და აამხედრა სრულიად უსაფუძვლოდ ჩვენ წინააღმდეგ. ჩამოგვაშორა ოსები, რომლებს პოლიტიკურის მოსაზრებით შეუდგინა რუსულ-ოსური ანბანი.

ახლა ჯერი მიდგა აფხაზებზე, რომელთა შორის დიდს აგიტაციას ეწევა ქართველებისაგან განსაშორებლად. ამ რამდენისამე წლის წინად ერთი უფროსი აშკარად უქადაგებდა აფხაზებს: ქართველები თქვენი მჭამელები არიან, ებრძოლეთ მათ იარაღით და მე მხარს დაგიჭერთო. მთავრობა ცდილობს აფხაზების ჩამოშორებას იმ განზრახვით, რომ ჩვენ დაგვასუსტოს და თვითონ აფხაზებიც, როდესაც ისინი განცალკევებულნი და დაუძლურებულნი იქნებიან, ადვილად შთანთქას.

ხედავენ და გრძნობენ ამას აფხაზები? აკეთებენ რასმე ამისათვის აფხაზეთში მცხოვრები შეგნებულნი ქართველები?

არც ერთი ქართველი არ გაიტარებს გულში აფხაზის დაჩაგვრას და უპატივცემულობას. ერთად განუყრელად, ძმურად ვცხოვრობდით მათთან და ეს ერთობა განმტკიცებულია ჩვენი ისტორიის უბრწყინვალეს დროით. სულით და გულით მივეგებებით აფხაზების ყოველგვარს წარმატებას და აღორძინებას, მათი ენის განვითარებას, საკუთარ მწერლობის დამკვიდრებას; ხელს შევუწყობთ, რაც გაუადვილებთ მათ კულტურულ ცხოვრებაში შესვლას. ქართველს არ შეუძლია აფხაზის მტრობა, ჩვენი და მისი მეგობრობა წარმოშობილია ურთ-ერთის ინტერესით.

დე, აიხილონ თვალნი აფხაზებმა, რომლებიც ჩაიგდო თავის კლანჭებში მტერმა, ცხვრის ტყავში გამოწყვეულ-

მა, და დაინახონ: ჩვენთან—სიცოცხლე, სხვებთან სიკვდილი!

ამისთვის მხნე მუშაობა ჰმართებთ ადგილობრივ ქართველებს.

**სიმქვა.**

# დეპეშები

პეტერბ. ტელ. სააგენტოსაგან

5 იანვარი.

### საზღვარ-გარედ

**ლიონი**. სენატის წევრად აირჩიეს რადიკალი მეესნერი. გენერალი ანდრე გაამეს.

**ბერლინი**. სოციალ-დემოკრატებმა გამართეს მე 61 კრება. კრებამ პროტესტი განაცხადა პრუსიის საარჩევნო უფლების წინააღმდეგ. კრებაში მონაწილეობა მიიღო 25,000 კაცმა, პროვინციებშიც მოხდა ასეთი კრებები. წესიერება არსად დარღვეულა.

**სტოკჰოლმი**. დაიწყო რეიხსტაგის სხდომები. წაიკითხეს სეფე-სიტყვა. სეფე-სიტყვაში ნათქვამია: უცხო სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი გვაქვს. სხვათა შორის, მშვიდობიანად დამთავრდა შვეციანორვეგიის დავა საზღვრის შესახებ. მთავრობას განზრახული აქვს შემოიტანოს კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა გაცხოველდეს ვაჭრობა-მრეწველობა, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ის, რაც შარშან მოხდა, ე. ი. მრეწველობის შეჩერება, რაც მუშათა მოძრაობამ გამოიწვია. ამას გარდა მთავრობა წინადადებას მისცემს რეიხსტაგს გადაათვალიეროს სადამოჟნო ტარიფები. დასასრულ სეფე-სიტყვა აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ხარჯები შევამცირეთ, მომავალ წელს მაინც სესხის აღება მოგვინდებაო.

**ბერლინი**. ოსმალეთის მთავრობამ გერმანიის საიმპერიო ბანკს მოსთხოვა აბდულ-ჰამიდის ფული, ერთი მილიონი მანეთი. ამბობენ, რომ თვით გერმანიის მთავრობამ გავლენა იქონია ოსმალეთის მთავრობაზედ, რომ ამ უკანასკნელს ეს მოთხოვნა წარედგინა, რადგან გერმანიის მთავრობას უნდა რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს აბდულ-ჰამიდის ფულის პასუხის-მგებლობისაგანო.

### მიწის ძვრა

**ავაპარანდა**. 8 იანვარს ზოგიერთ სოფლებში მიწა იძრა. მიწისძვრა სულ 30 წამს გაგრძელდა. მცხოვრებლებს ზარალი არ მოსვლიათ.

### რ უ ს ე თ ი

**გელსინგფორსი**. გენერალ გუბერნატორმა მიიღო გელსინგფორსის მუშა-ქალთა დეპუტაცია. დეპუტაციამ გენერალ-გუბერნატორს დახმარება სთხოვა—უმუშევრობამ გაგვიჭირა საქმე, შიმშილით ვიხოცებითო. გენერალ-გუბერნატორმა უმუშევართა სასარგებლოდ 1000 მარკა გადასდო და გუბერნატორს წინადადება მისცა, რაც შეიძლება მალე შეიმუშაოს ზომები უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**კავკასი**. სენატორ გარინის განკარგულებით ღამე დააპატიმრეს სამსახურ გარეშე მყოფი გენერალ-მაიორი არტაბლევსკი. არტაბლევსკი წინად მოსკოვის საინტენდანტოში მუშაობდა.

**პერმი**. ლიანდაგიდან გადავარდა სამგზავრო მატარებელი. დაიმტვრა რამდენიმე ვაგონი. დაშავდა სამი კაცი.

**პოლტავა**. დააპატიმრეს 5 ებრაელი და ერთი რუსი. ბრალდებათ ეკლესიის გაცარცვა და საეკლესიო დარაჯის მოკვლა.

**პეტერბურგი**. ხოლერით ავად არის 1 კაცი.

**პეტერბურგი**. 4 იანვრიდან ენისეისკის მაზრაში გაუქმდა გაძლიერებული წესები.

**მოსკოვი**. გრადონაჩალნიკმა 500 მანეთით დააჯარიმა გაზეთ „უტრო როსსიის“ რედაქტორი. გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი: „ვადასახადი სისხლზედ“.

**ასტრახანი**. აკბალიკში შავი ჭირი მოიპო.

**დონის-როსტოვი**. ერთი სახლის ეზოში იპოვეს წვრილი კრედიტის ინსპექტორის გვამი. გამოირკვა, რომ ინსპექტორი ტროიცკის ეზოში შეუტყუებიათ და მოუკლავთ.

**ეკატერინოსლავი**. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი.

# აკადემიკოსი ნ. მარი და მოსე ჯანაშვილი

„არ იამა დიდ-გულასა
„შურმა გაამწარა,
„გასქდა შერვით და წელები
„აქვა გადმოჭყარა?
(„ბაყაყი და ხარი“, აკაკის არაკები, გვ. 18).

დიდ კაცს, დიდის ნიჭის, ცოდნის და გონების კაცს თავის დღეში ვერ დააფასებს პატარა ადამიანი, უცნაურის თავმოყვარეობით აღსავსე. რამდენადაც პატარა კაცი მოკლებულია ნიჭსა და ცოდნას, რამდენადაც ნაკლები აქვს მას შეთვისებული მორიდებითა და კდემით აღსავსე პრინციპი „თავის-თავის შეგნებისა“, იმდენად კომიკურსა და საბრალო მდგომარეობაში ჩავარდება ხოლმე, „შური გამწარებს“, ის დაემართება, რაც არაკის ბაყაყსა. სწორედ საარაკო სურათს წარმოადგენს ბ-ნი ჯანაშვილი, როცა პროფესსორ მარრსა და მის მსგავს მეცნიერთ დაუწყებს ქიშპობას. მე მართალი მოგახსენოთ, მეცნიერულად არც ქართული ისტორია შემისწავლია და არც ქართული ლიტერატურა, მე ვსჯი ისე, როგორც სჯის ყოველი ქართველი, რომლისათვისაც ყოველივე საფუძვლიანი შრომა ქართულს ისტორიასა და ლიტერატურაში საბედნიერო და სამხიარულო მოვლენაა, რომელიც გულითა და სულით ეგებება ყოველსავე მეცნიერულ გამოკვლევას ჩვენს ისტორიასა და ლიტერატურაში, თუ გინდ იგი გამოკვლევა ზოგჯერ დამამხობელიც შეიქმნეს ჩვენის ტრადიციონალურის ნაციონალურ რწმენისა და წარმოდგენისა.

მართალი გითხრათ, ცხოვრება უიმისოდაც საიდუმლოებითაა მოცული. უიმისოდაც ჩვენ კაცნი მუდამ ჟამს მოტყუებულნი ვართ მოვლენათა გამოურკვევლობისა და გამოუცნობელობის მიზეზით და კიდევ მეტს სიბრმავეს ეტანებოდეს ადამიანი სასაცილო იქმნება და სამწუხარო და არც ერთი ჭკუათა მყოფელი ადამიანი ამას არ ინებებს, არ იკისრებს, არ მოისურვებს.

ამის გამო, მართალია, „ვეფხის ტყაოსანი“ ჩვენ საეროვნო სიამაყეს შეადგენს, მაგრამ თუ ერთ დღეს ბ-ნ მარრისთანა ქართველი მეცნიერი უეჭველის საბუთით დაგვიმტკიცებს, რომ იგი თარგმანია სხვა არაფერი, ამ საშინელ თავზარ-დამცემ ამბავში სანუგეშოც რამ მოიპოვება. პირველ ყოვლისა ის, რომ ჩვენ ნაციონალურ შეცდომას ისევ ქართველი მეცნიერი აღმოაჩენს. მეორე—კაცმა სთქვას ისეთი თავ-მოყვარეობაც შესანდობარია, პირადად მე სწორედ არ მინდა უცხო ვისიმე სასაცილოდ გავხდე, არც მინდა სასაცილოდ გავხდე მომავალის თაობისა, რომელიც ჩვენ კიდევ როგორც უბრალო მომავლდევებს ბევრს გვაპატივებს, მაგრამ ჰ-ნ ჯანაშვილისთანა „მეცნიერს“ კარგ დღეს არ დააყენებს და უთუოდ მწარე ფარსის საგნად გახდის. სიმართლეს ვერსად წაუხვალ. ხოლო რაც უფრო ადრე გეცოდინება კაცს ჭეშმარიტება, მით უფრო ბევრს მოიგებ. ეროვნული თავ-მოყვარეობა, ეროვნული სიამაყე სრულიად უვარგისი და დაღუპულია, თუ იგი დამპალ ნიადაგზეა დამყარებული. იმ ერის ცხოვრებაც განსაცდელშია, რომლის იმედი და სასოება ერთ რამეს ჩასჭიდებია. ვსთქვათ აღმოჩნდა, რაც ჩემის აზრით მოსალოდნელი არ არის, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ არ არის ორიგინალური ნაწარმები. ნუ თუ ამით ქართველი ერის სახელი და დიდება მოისპობა, ნუ თუ ამით ჩვენი ათასი წლებით შექმნილი კულტურა და ისტორიული ცხოვრება მოისპობა სრულიად. ბ-ნმა გომართელმა ამას წინად ნ. ბარათაშვილის შესახებ ლექციაზე ბრძანა. „ბარათაშვილის შექმნა არ შეეძლო იმ ხალხს, რომელსაც დიდი კულტურა არა ჰქონია“. სრული ჭეშმარიტებაა და ჩვენც დავუმატოთ, რომ იმ ხალხს, რომელსაც ჰყავდა ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, ილია და აკაკი, ჰყავს ვაჟაფშაველა აქვს უფლება და ნება იცხოვროს თავის, განსაკუთრებულის, ეროვნულის ცხოვრებით.

მე თვით უსაშინლესი მაგალითი მოვიყვანე იმისთვის, რომ დამენახვებინა მკითხველისათვის, რომ თვით ამისთანა პირობებშიაც ქართველ ერს განსაცდელი სრულიადაც არ მოელის.

განსაცდელი მოელის საზოგადოებას მაშინ მხოლოდ, როცა დიდის გონების, დიდის მეცნიერების, დიდის ნიჭის და გრძნობიერების პირადობა პატივცემული არ არის. საზოგადოება და ერი სამწუხარო მოლიპულ გზაზე სდგას მაშინ, როცა ღვთაებრივის ცეცხლით აღბეჭდილს ადამიანს ყველა წარა-მარა დაუწყებს თავისის ბეჩავის ხელებით სულში ფათურს, როცა ასეთ ადამიანს ყოველი უვიცი და უმეცარი თავის გაქსუებულის ენით შეეხება. ის საზოგადოება, ის ერი, რომელიც არ აფასებს მეცნიერულ ღვაწლს, რომელიც ვერ იხრის თავს მეცნიერულ მიუდგომლობისა და ჭეშმარიტების დაუშრეტელ მოყვარეობის წინაშე, ის ერი, რომელიც ვერ აფასებს თავისს დიდ ადამიანებს და დიდ კაცებს, სახიფათო მდგომარეობაში იგდებს თავის თავს. ჩვენ ჯერ რომ ილია ჭავჭავაძეს საქმე უყავით, მგონი საკმარისია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. რას ვამბობ: იმდროიდე, ვიდრე ქართველი ერი ცხოვრებს, ეს სამარცხვინო აქტი იმის სინიდის უნდა ლოღნიდით აწვეს. ჩვენ

# ჰ ა ნ გ ი

ბუჩქისა ძირს,
სოსანი სტირს,
ეკალს მკერდი გაუკაწრავს...
ჰგოდებს, მოსთქვამს
და ცრემლს—ცის ნამს
მდელოს აკმევს, ცრემლებით რწყავს.

* * *

ტურფავ! ნუ რბი ულრან ტყეში,
იქ ნუ ეძებ სურნელ სოსანს!
თვით ვარდი ხარ, ნაზ-ციური,
ენდე შენსა ერთგულ მგოსანს!
იქ ფესვს იდგამს სივაღალე,
მწუხრის სიო სადმე ჩაგკლავს...
დამიჯერე... მეგობარო,
ვერ დაუდგავ ძეგლს შენს საფლავს!..

* * *

ბუჩქისა ძირს,
სოსანი სტირს,
ეკალს მკერდი გაუკაწრავს...
ჰგოდებს, მოსთქვამს
და ცრემლს, ცის ნამს,
მდელოს აკმევს... ცრემლებით
რწყავს..

**ი. გრიშაშვილი.**

# ფ ო თ ო ლ ი

გაყვითლებული
და დამჭკნარი მწირი ფოთოლი
ქარმა ზუზუნით
ჩემს ოთახში შემოიტანა.
სევდით მწუხარე,
მოწყენილი, ჩემებრ ობოლი,
იყო განსული
უნაყოფო ცხოვრებიდანა.
ვინ უწყს, ფოთოლო,
საყვარელ ბუჩქს მოგწყვიტა ქარმა
და წამოგიღო
უგზო-უკვლომ სასტიკის ხელით,
ულმობოდ გამწირა
უსამართლო ცხოვრების ჟამმა!
მაგრამ იცოდე,
ერთ ბედითნი შევიყარენით:
მეც მყვანდა სატრფო,
მის სიტურფეს ვუმღერდი ქებას,
მაგრამ უეცრივ
დამაშორა ავმა ცხოვრებამ;
ადრე მოვაკლდი
ამ ქვეყნიურ ბედნიერებას,
შენებრ საბრალო
გამაყვითლა ცრემლმა, გოდებამ...

**ი. მჭედ - იშვილი.**

# სალიტერატურო მიმოხილვა

(დასასრული *)

ამ უკანასკნელ ხანაში საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულში“ თავი იჩინა ცქვიტმა. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ „ნაკადული“ შინაარსის მრავალფეროვნებით, ხელოვნურის ნაწერებით მეტად საყურადღებო და პატივსაცემი ჟურნალია. რედაქცია არ იშურებს არც ძალასა და არც ღონეს ჟურნალი გახადოს მომზიდველი საკითხავი და კიდევაც აღწევს ამ მიზანს.

ხშირად გაგვიგონიათ უთოოდ მსჯელობა იმის შესახებ, როგორი უნდა იყოს საბავშვო ნაწარმოები. ერთად ერთი პასუხი ამისი ის გახლავთ, რომ ბავშვისათვის სასიამოვნო და სასარგებლო წიგნი, თხზულება, მოთხრობა ის იქმნება, რომელიც დიდებისათვისაც მოსაწონია. აიღეთ აკაკის გალექსილი არაკები, მისი საყმაწვილო ამბები. ეს ნაწარმოებნი იმდენადვე წარმტაცნი და მომხიბვლელნია დიდებისათვის, რამდენადაც ყმაწვილებისათვის. აიღეთ ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, რომლებიც საყმაწვილო ჟურნალშიც კი ისტამბებოდნენ თავად პირველად, და ნახეთ („შვლის ნუკრის ნაამბობი და სხვ.), თუ ვაჟა-კაცთა ყრმათა მოხუცდა და მოზრდილთათვისაც ისე საამური საკითხავი არ არის, როგორც ბავშვთათვის. ერთი უნდა გვახსოვდეს მხოლოდ: ბავშვთათვის არ არის გამოსადეგი ყველა ის საგანი, რის შესახებაც დიდთათვის დაიწერება, მაგრამ ყოველივე რაც ბავშვისთვის დაიწერება, დიდსაც უნდა მოეწონოს. გნებავთ გამოსცადოთ ღირსება საბავშვო ლიტერატურისა, წაიკითხავთ და თუ მოგეწონებათ, მაშასადამე, ბავშთათვისაც სახეიროა.

ერთ ამგვარ ნაწარმოებს, რომელიც ორივე პოლიუსისათვის—ბავშვისა და დიდისათვის—მოსაწონთა შორის უნდა ჩაირიცხოს, ცქვიტის საბავშვო მოთხრობები, „ნაკადულში“ მოთავსებული, („კრიალას გმინვა“ („ნაგვიანევი ხიზილა“, „დატყვევებული ტოროლა“, „განკურნებული“). პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ის მშვენიერი, მარტივი და თან სურათებიანი ენა, რომელსაც ხმარობს ავტორი. ამ მოთხრობების ფორმის სიმშვენიერე მას თითქმის პოეტურ ნაწარმოებად ჰქმნის და ეგრეც არის არსებითად, ეს არის ლექსები, პროზად დაწერილი, და პირველის სტრიქონის წაკითხვისთანავე ჰგრძნობთ რითმს ლექსისას. ყველაზე უფრო ღრმა აზრისა „განკურნებული“, „პაწია ბრმა ჩიტუნა„, რომელიც თავისს სიმახინჯეს დასტირის:

ნეტა ვიცოდე, ვის რად უნდოდი, რომ მახინჯი
უშნო, ულონო ქვეყანაზე ვიბადებოდი
ან რად მინდოდა ასეთი გრძნობა, რომ ეს ჩემი
სიმახინჯე შხამით მივსებს საბრალო გულსა
ვგრძნობ, რომ შევრისხავ ჩემთა მოძმეთ გულ-განავარდ
მალ ხაზ ფრინველთა, მაგრამ რა ვქნა, რა ბრალი მაქვს რომ
ქვეყანას ნაზიც თურმე სურს და მახინჯიცა
ვიწვი საბრალო, ცეცხლს მიკიდებს ეს ჩემი ყოფა;
მსურს, ყოვლად ულირსს არ ვსუფევდე, არ ვარღვევდე,
ჰოი ბუნებავ, შენს ჰარმონიას...

„პაწია ბრმა ჩიტუნა“ ჰარმონიის დამრღვევი კი არ გამოდის, სასტიკის ჰარმონიის უბედური მსხვერპლია, ეს კარგად ესმის ბუნებას და
„გულჩათხრობილი, ნაღვლიანი მხოლოდ შენთვის ვარ
მე შენ მიყვარხარ!—ჩამსძახა ნათელმა მთვარემ:—
და თვისი სხივი გულს რომ მოჰფინა, ის წამს განკურნა.

ასეთივე სიყვარულითა და თანაგრძნობით მოეპყრო მას „გრილი ნიავი“ და „ბუტბუტა მდინარე“:
გვიყვარხარ,—დასჩურჩულეს შევერცხლილმა ხისა ფოთლებმა
და ვითა ნუკრი, უსუსური გულს მიიხუტეს, ძილით ილხინეს
სძინავს ჩიტუნას ზეციურ ძილით, ამ ტკბილის გრძნობით,
რომ **ეს ბუნება საყვარელი მისი ყოფილა და ის კი ბუნების“.**

ამგვარად, ბუნებას „ნაზიც თურმე სურს და მახინჯიცა“. ასეთი გაგება მსოფლიოს, ქვეყნის მოვლენათა ღრმა არის და პანტეისტურის მგოსნისათვის ბუნება მშვენიერია, ბუნება საუცხოოა და მომხიბლელი. მთელის თავის არსებით, ყოველსავე მოვლენას იქა აქვს ადგილი, ყოველივე მოვლენა ბუნების დიდებულის ჰარმონიის გამომსახველია. მგოსანი აქ ერთგვარ ფილოსოფიის მოძღვარი არტისტია, რომელიც ქვეყნიერობის ხელოვანის თვალით უყურებს და ქვეყნის მოვლენა მისთვის იმდენად საინტერესოა, რამდენადაც იგი „გვაქვს უთვალავის ფერითა“, რამდენადაც იგი სხვა და სხვა ნაირათ შემკული წარმოდგენაა, ჩვენის ოცნებისაგან შექმნილი და განსურათებული.

ამ მოკლე მიმოხილვაში არ შეუდგებით ცქვიტის ნაწარმოებთა დაწვრილებით განხილვას. მოყვანილი მაგალითიც კმარა, დავრწმუნდეთ, რომ ხელოვნებაც შესწევს და ღრმადაც ჰფიქრობს და აზროვნობს მწერალი. ჩვენ მაინც არ შეგვიძლია არ ურჩიოთ, რომ ნუ მიჰმართავს ხოლმე ლექსისა და პროზის ერთმანეთში ერევ-დარევას. ამგვარი წერის მანერა ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ავტორს ძალიან ემარჯვება ენა და ეს ნიჭი უნდა უნდა მოიხმაროს პროზის გასამშვენიერებლად. განა ილიას გინდ ვაჟას პროზას რომელიმე ლექსი სჯობია, ხოლო ეს გადაჯინებული სურვილი რითმის დაცვისა ავტორს აიძულებს ხშირად ულალატოს სიმშვენიერეს პროზისას, ფრაზები ისე თავისუფალი აღარ არიან, ხანდისხან სიტყვის უბრალო ფორმასაც მიჰმართავს ხოლმე. მაგ.: „არ ვსუფევდე“, „გულ განავარდ“ და სხვა. ის, რაც პოეტს ეპატიება რითმის სიმდიდრის დაცვისათვის, არ ეპატიება მწერალს პროზაში რითმის დასაცველად.

ჩვენი ლიტერატურა მაინც კიდევ პოეზიის სამეუფო გახლავთ. იმ ერს, რომელსაც „ვეფხის ტყაოსანი“ შეუქმნია პოეზიაში, ლექსთა თხზვაში უეჭველია, ყოველთვის მაგრა აქმნება ფეხი მოკიდებული. ამიტომაც არის, რომ თვით ილია ჭავჭავაძე, რომელსაც პროზის მწერალთა შორის უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს, პოეზიაში უფრო ძლიერია, თუ კი „განდეგილი“ საუკეთესო მისი ნაწარმოებად ჩაითვლება. ერთად-ერთი ა. ი. ყაზბეგია, რომელსაც პროზა უფრო ემარჯვება, მაგრამ იმის ნაწარმოების გარეგანი ფორმა — კერძოდ მართლწერა — მრავალის ნაკლულევანებითაა სავსე.

სულ უკანასკნელ დროის მწერლობაშიაც, უნდა მართალი ვსთქვათ, პოეზიის წარმომადგენელნი სჭარბობენ არა თუ რიცხვით, ღირსებითაც.

ზევით ყურადღება მივაქციეთ ჩვენში მჭერმეტყველობის განვითარებას, იმიტომ, რომ მჭერმეტყველება ერთგვარი პირად გრძნობათა გამოსახვაა უკიდურეს ინდივიდუალური განწყობილების გამოთქმაა პროზაში. ამიტომაც მჭერმეტყველების განვითარება ყოველთვის წინამორბედი ყოფილა ხოლმე სალირიკო პოეზიის განვითარებისა. ამის მაგალითი საფრანგეთია, სადაც რევოლიუციის მჭერმეტყველების წინასწარმეტყველობა რუსსომ იკისრა და შემდეგში რევოლიუციონურ მჭერმეტყველებას მოჰყვა მდიდარი რომანტიული ლიტერატურა და პოეზია. ამის ნიშნები ჩვენშიაც არის: განცვიფრებაში მოხვალთ, როცა გადაათვალიერებთ ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას, რამდენი ლექსი იბეჭდება შიგ ყველა იგინი ჰქმნიან, ისე ვსთქვათ, იმ წრეს, რომლიდანაც ბუნებრივი შერჩევა ლიტერატურაშიაც მოახდენს იმას, რასაც ცხოვრებაში ახდენს: საუკეთესონი მათგანი წრეს გასცილდებიან, წრეზე ამაღლდებიან და წრის მიერ შექმნილ მასალიდან ჩამოქანდაკებენ ახალ პოეზიის ძეგლს. უკვე შარშან მოვიგონიეთ ა. შანშიაშვილი და მისვე პოეზიას შევეხეთ იმ ფელიეტონში, სადაც შანშიაშვილის „ოცნების მხარეს“ გამო ატეხილ ყაყანს ვრცლად გავეცით პასუხი. შანშიაშვილის ყოველი ლექსი სავსეა მეტად ღრმა გრძნობითა და აზრით, სავსეა, ვნებით, სავსეა სურათებით. სამწუხაროდ, აქა-იქ გაბნეულ იმის ლექსების სავსებით აღნიშვნა და გარჩევა მოკლე ლიტერატურულს მიმოხილვაში შეუძლებელია, მაგრამ, ჩვენის აზრით, შანშიაშვილი ჩვენის პოეზიისათვის მეტად საყურადღებო განძია.

შეუძლებელია არ აღინიშნოს აგრეთვე მეორე ჩვენი ახალგაზრდა მგოსანი გრიშაშვილი. მისი ლექსთწყობის ფორმა თითქმის უმწიკვლოა, მის ლექსების რითმა მდიდარია. მრავალმხრივად აღწერილი აქვს გრძნობა, მრავალგვარი განწყობილება აქვს გამოთქმული თავისს ლექსებში, გრიშაშვილს უკვე ერთის წლის განმავლობაში ეტყობა ზრდა და განვითარება, რაიც სასიამოვნო აღსანიშნავი ფაქტია. გრიშაშვილი უეჭველად ჩვენს პოეზიაში საპატიო ადგილს დაიჭერს, თუ ეგრეთის წარმატებით ივლის.

შანშიაშვილისა და გრიშაშვილის დასაწყისი სახარბიელოა. როგორი იქმნება დასასრული? არავის ამის შესახებ არაფრის თქმა გადაჭრით არ შეუძლიან. ყოველ შემთხვევაში მათი ნიჭის „მესაფლავე“ არავინ არ იქმნება, გარდა თვით მათის თავისა და ჩვენის ცხოვრების მყაყე ატმოსფერისა, რომელიც ყოველგვარ ნაზს ყვავილს ახრჩობს და ღუპავს ისე, რომ ვერც იზრდება და ვერც იფურჩქვნება იგი ყვავილი. ვიქონიოთ იმედი, რომ მათი ნიჭი აშმორებ ულისატმოსფერისაგან აღმართულ დაბრკოლებასაც კი სძლევს.

**კოტე აბაშიძე.**

*) იხ. „დროება“ N 3.

ის კი არა, ჯერ „არც კი გაგვიცვეთია ის ფეხსაცმელი, რომლითაც მისი განაწამები ნეშტი მივაცილეთ საფლავამდის" და თითქო არაფერი არ მომხდარიყოს, არაფერი არ გვისწავლია და ისევე მოურიდებლად ვეპყრობით იმ ჩვენ კაცებს, რომელნიც საზოგადო წრეს გასცილებიან და საუკუნო საქმეს აკეთებენ. თუ ეპატიება ბავშვს, უგუნურს და უმეცარს, ესევე არ ეპატიება ბ-ნ მ. ჯანაშვილს, რომელსაც დაქვეითებულ საზოგადოებაში „მეცნიერის" სახელიც კი აქვს მოპოვებული და რომელიც საკმაოდ „ხანს გადასული" ბრძანდება იმისთვის, რომ ბალღური ცელქობა ჩაიდინოს.

ბ-ნ ჯანაშვილს აულია და დაუსტამბავს (ღმერთო ჩემო, ჩვენთვის სერიოზულ და შესანიშნავ შრომას თაგვები ხრავენ და ბ-ნი მოსე ჯანაშვილი, რამდენიც გნებავთ, იმდენ გამომცემელს იშოვის) ბროშიურა, რომლისთვისაც „ქართული მწერლობა" დაურქმევია. ეს ბროშიურა დაურიგებია ნაცნობისა და უცნობისათვის და თანაც, ვინც კი ხელში ჩაუგდია, ჩურჩული დაუწყვია, „ნახე ნიკო მარის ოინები" „მანდა მაქვს აღწერილიო". მართალი გითხრათ ბ-ნ მოსე ჯანაშვილის ნაწერებს მე ვერ ვკითხულობ, ვერ ვკითხულობ მას შემდეგ, რაც მისმა „ისტორიამ", მართალი გითხრათ, წამიწყმიდა სურვილი და ხალისი ქართულ ისტორიის შესწავლისა. მგონია, და ამის საბუთებიცა მაქვს, რომ ბ-ნ ჯანაშვილის „ისტორიას" მარტო მე არ ჩაუგდივარ ცეცხლში, მაგრამ მას, ვისაც ჯანაშვილისა არა წაუკითხავს რა, ადვილად შეიძლება შეცდომაში შევიდეს, ბ-ნი ჯანაშვილი „მეცნიერ ისტორიკოსად" მიიჩნიოს და ისეთი საქმე დაემართოს, როგორც ბ-ნ გვაზავას მოუვიდა. გულახდილად უნდა მოგახსენოთ, მე არც იმ რუსულ გაზეთებსა ვკითხულობ, რომელთაც ქართველები სცემენ. არ ვიცი „შურით" მომდის, რომ მე თვითონ ვერ ვახერხებ რუსულ მწერლობას, თუ პირდაპირ მირჩევნია რუსების მიერ გამოცემული რუსული გაზეთი ვიკითხო და ქართველების ქართული, მაგრამ ეს კი არის, რომ არა ვკითხულობ. ბ-ნ გვაზავას წერილმა კი ისეთი სამართლიანი გულის წყრომა გამოიწვია ყველასი, რომ ძალაუნებურად წავიკითხე და, უნდა მართალი გითხრათ, გულითა და სულით აღვშფოთდი და ზიზღით აღივსო ჩემი არსება არა ბ-ნ გვაზავასადმი, არამედ ისეთ „მწიგნობართა" მიმართ, რომელთა შესახებ უკვე ქრისტემა სთქვა: „უმჯობეს არს მისა, დამთიკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაანთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა", რამეთუ „ვა' მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცდური". „საცდური" კი აქ ბ-ნ მ. ჯანაშვილისაგან მოვიდა, ვინაიდან უსაფუძვლო და უშინაარსო ცილი შესწამა ისეთ დიდ მეცნიერს, როგორიც ბ-ნი ნ. მარრია. ბ-ნ მ. ჯანაშვილის წიგნიდან ბ-ნ გვაზავას ის რწმენა მიუღია, თითქო სახელოვან ქართველ მეცნიერს, ბ-ნ მარრს, რომლითაც ქართველ ერს თავი უნდა მოჰქონდეს, 1) **განზრახ** „ვეფხის ტყაოსნის" დამცირების წყურვილით გატაცებული მეცნიერულ ხიყალბესაც კი სჩადიოდეს; თითქო საზოგადოდ ნ. მარრი ქართველების მტრობით აღტყინებული მეცნიერებასაც კი ამახინჯებდეს ქართველების დასამცირებლად. ის, ვინც ცოტათი მაინც იცნობს ბ-ნ მარრის შრომას ქართულის ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ, არ შეიძლება არ აღშფოთდეს ასეთის უნიადაგო და უსაფუძვლო ცილისწამებით. ვისაც წაუკითხავს ნ. მარრის სამაგალითო გამოცემა მე-12 საუკუნის ჩვენის მეხოტბეთა (ჩახრუხაძის- და შავთელისა), ვისაც წაუკითხავს მარრის გამოკვლევა იოანნე პეტრიწონელის შესახებ, არ შეუძლიან გულითადის მადლობით არ აღივსოს ამ კაცის მიმართ. ჩვენის აზრით, პრ. მარრის გამოცემებს ჩვენის ძველის ლიტერატურისას ფას დაუდებელი მნიშვნელობა აქვს ამ ლიტერატურის განახლებისათვის და ჩვენის მწერლობისათვის. (ცხადია, ვისაც კი ქართულ მწერლობის ბედ-იღბალი ცხოვრების დიად საგნად მიაჩნია, გულწრფელის პატივისცემით მოიხსენიებს ბ-ნ ნ. მარრის სახელს, რომელმაც მართლაც რომ მკვდრეთით „აღადგინა" ეს მწერლობა. თუ რა დიდებითა და აღტაცებით ეკიდება ბ-ნი მარრი „რუსთველს", ამას ამ მოხსენებულ ნაწერებში ნახავთ. და ეს რადა გნებავთ: გადაიკითხეთ ამ რამდენიმე დღის წინად „დროებაში" (№ 286—1909 წ.) დასტამბული წერილი შოთა დ—იანისა: „ვეფხის ტყაოსნის" წინასიტყვაობა და პროფ. ნ. მარრი" და იქ ნახავთ იმის დამტკიცებულ საბუთებს რა დიდის გრძნობით არის გამსჭვალული ბ-ნი ნ. მარრი რუსთველისადმი და რა ღრმა გრძნობებს უნერგავს იმ ახალგაზდობას, რომელმაც უნდა დაუდვას მტკიცე საფუძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო კვლევა-ძიებას. აი რა არის იქ ნათქვამი:

„პროფ. მარრის აზრით, რუსთველი იყო ისეთი პოეტი, რომელმაც გამეორება ერთხელ თქმულისა არ იცის და არც უყვარდა, რომელსაც აქვს ძლიერ მდიდარი ლექსიკონი სხვა და სხვა აზრის ფერადებით გამოსათქმელად. იგი კმაყოფილდება ერთხელ თქმულით და ამიტომაც არასოდეს არ უბრუნდება მას შემდეგში, მისი გრძნობა საერთოდ წმინდაა, ვით ანკარა წყარო, მოციმციმე-მოელვარე, ვით დილის ნამი, მტკიცე და შეურყეველი, ვით კლდე. მისი სიყვარული პლატონიურია მუდამ და ყოველთვის, და აი ამ საფეხურზე აშენებს იგი თავის ქმნილებას.

დაახლოვებით ასეთის აზრისაა პროფ. ნ. მარრიო, იმეორებს შოთა დ—ანი, და იგი ალბად ამით ხელმძღვანელობდა თავისს გამოკვლევის დროს", ე. ი. აქედან ისა სჩანს, რომ ნ. მარრს რუსთაველი უმწიკვლო გენიოსად მიაჩნია და მთელ თავის გამოკვლევას „ყალბის ადგილების" შესახებ ამ მოსაზრებაზე ამყარებს. განა ამის შემდეგ შეუძლიან კიდევ ვისმეს წამოისროლოს ისეთი სიტყვები, რომელიც სწორედ სამარცხვინოა დამწერთათვის, თორემ პროფ. მარრს ის არ შეეხება.

ან რა სთქვა რომელიმე პროფ. მარრმა ისეთი, რასაც უნდა ვინმე გაებრაზებინა ან გაეჯავრებია. იქნება აღმოჩნდესო ის ორიგინალი, რომლითაც უნდა ესარგებლებინა შ—თას თავის უკვდავ ნაწარმების სიუჟეტისთვისაო. მერე რა გამოდის აქედან? ხელოვნებაში სრულიად უვიცი უნდა იყო, ლიტერატურაში არაფერი გაგება არ უნდა გქონდეს კაცს, რომ ამისა გეშინოდეს. ისეთ დიდ ქმნილებას იშვიათად მიჩვენებთ ლიტერატურაში, რომ სიუჟეტი, არაკი ნასესხები არა ჰქონდეს ჰომიროსს, სოფოკლს, ესხილს, ევრიპიდს, შექსპირს, რასინს, კორნელს და სხვა მრავალს, მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვა მათ გენიოსობას ერთი ბეწო ახრდილიც კი მიაყენოს. ამაზე ლაპარაკს არ გამოუდგებით, ამის შესახებ მთელი დასაბუთებული წიგნაკია გამოცემული პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, რომელშიაც ცხადად არის ნაჩვენები, რომ ქართველებს არაფერი სასიშარი არ მოელის იმ ფაქტიდან, რომ რუსთველს თავის გენიოსურის ქმნილების არაკი ნასესხები აქვს *), და რომ ჩვენის ლიტერატურისათვის ხელსაყრელიცაა, თუ ვიპოვნით იმ ორიგინალს „სპარსულ ამბვისას", რომელიც „ლექსად გარდაქმნა" რუსთაველმა თავის ორიგინალობის სავსებით გამორკვევისათვის.

მაგრამ ჩვენში სიბნელე მიაჩნიათ „მამულიშვილობათ". რუსთველის უკვდავი მცნება დაუვიწყიათ, „რაღაა იგი ნათელი, რომელსაც ახლავს ბნელია" და სწორედ ისეთ ადამიანებს, რომელნიც მთელ თავიანთ ნიჭსა და ცოდნას ახმარებენ, რომ ნათელი ბნელს მიაფინონ ჩაქოლვას უპირებენ.

*) „მამულიშვილობა და მეცნიერება", 1904 წლ. გამოცემა.

მაგრამ რა გამოდის აქედან? თვით ჩვენი სირცხვილი? ჩვენ მეზობელ ერთა თვალში სამარცხვინო ბოძზე გვაკრავს ის, რომელიც „მეცნიერებას" სწიხლავს და თვით ქართველ მეცნიერს, ერის თავმოსაწონებელს და საამაყოს, როგორც პროფ. მარრია, უმეცარის ხელით ეხება.

პროფ. მარრს კი კარგად უნდა ესმოდეს, რომ მისი შრომა და ღვაწლი დაფასებულია ქართულ ერის იმ ნაწილში, რომელსაც ეკუთვნის მომავალი, რომელიც ჩვენს ლიტერატურასა და ისტორიას თავს დასტრიალებს და რომლის გულიც აღვსილია მადლობითა და პატივისცემით ჭეშმარიტების თაყვანის მცემელის ნიჭით მიმადლებულ მეცნიერისადმი, რომლის ნაწარმოები უეჭველია საფუძვლად დაედება ქართულის ოქროს ხანის ლიტერატურის განახლებას. ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ პროფ. მარრის მიერ გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანი" რომელსაც ქართულ სიტყვიერების მოყვარე გულის ფანცქალით მოელის, იქმნება ნამდვილი გაცხოველება ამ თხზულებისა, შეიქმნება ჭეშმარიტი და დაუშრეტელი წყარო ინტერესისა ამ თხზულებისადმი და არა მისი დამწიხვლელი და დამღუპველი, როგორც ეს ჰგონიათ ზოგიერთ ჩვენ „ისტორიკოსებს".

**კიტა აბაშიძე.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **პანაშვიდი.** პანაშვიდი ვლ. ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნა კვირას, 3 იანვარს, ქვაშვეთას წმ. გიორგის ეკკლესიაში. ჩვენის დაუვიწყარის თანამშრომლის და ძვირფას ამხანაგის ხსოვნას პატივი სცა დიდმა საზოგადოებამ: ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და სხვათ.

✦ **ეკატერინე გაბაშვილის ორმოცი წლის მოღვაწეობა.** წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებული ქალთა კომისიამ 4 იანვარს თავის კრებაზე დაადგინა, აღნიშნოს ორმოცი წლის სალიტერატურო მოღვაწეობა დიდად პატივცემულ მწერალ ქალის ეკატერინე გაბაშვილისა. დღესასწაულს სულ სხვანაირი ხასიათი ექნება და არა ისეთი, როგორიც დღემდე გამართულ იუბილეებსა ჰქონდათ.

✦ **წ. კ. საზოგადოების სოხუმის განყოფილება.** 20 დეკემბრის სხდომაზე წერა-კითხვის საზოგადოების კრებამ 30 ახალი წევრი მიიღო სოხუმის მცხოვრებთაგან. სოხუმელ წევრებს დეკემბრის ბოლო რიცხვებში კრება მოუხდენიათ და ასამდე ახალი წევრი კიდევ ჩაუწერიათ. სულ სოხუმის განყოფილებაში 130 წევრი ითვლება. პირველ საზოგადო კრებაზე სოხუმის განყოფილებას აურჩევია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. განყოფილების თავმჯდომარედ აურჩევიათ: ქნ. მარიამ ანჩაბაძისა, თავმჯდომარის ამხანაგად — ქნ. დესპინე გელოვანისა, მდივნად— ანთიმოზ ჯუღელი, მდივნის თანაშემწედ—ივანე ცეცხლაძე, ხოლო ხაზინადრად—ოლღა გოგრიჭიძისა, გამგეობის წევრებად: ელენე სოლოგუბისა, ნიკოლოზ თავდგირიძე, ნინო თურქია, ალექსანდრე სონაძე, ნიკოლოზ ჩიქოვანი, კორნელი ჯუღელი, ვლადიმერ მახვილაძე, გახუ თურქია, ანნა ავალიშვილისა, სპრიდონ დუნდუა და რაჟდენ კაკუბავა. სარევიზიო კომისიის წევრებად: ალექსანდრე გიორგობიანი, გრიგოლ გორავალძელი-იოვაშვილი, ვასილ გოგრიჭიძე და ივანე ბურჭულაძე. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ, თანახმად წესდებისა, უკვე აცნობა სათანადო მთავრობას, რომ სოხუმში საზოგადოებამ თავისი განყოფილება დაარსა.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 4 იანვარს მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა. ამ დღეს ძლივს შეიკრიბა კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა. სხდომა დაიწყო $9^1/_2$ საათზე. საბჭომ ათამდე წვრილმანი საქმე განიხილა. საბჭომ გამგეობის დადგენილების თანახმად, 40-მდე ღარიბ მთხოვნელს აპატია მათზე დარჩენილი საიჯარო გადასახადი. გამგეობის დადგენილება 35 წლის აღნიშვნის შესახებ განსახილველად გადაიდო 11 იანვრისთვის. თუმცა ამ საკითხის შესახებ კერძო თათბირი უნდა გაემართათ ხმოსნებს, მაგრამ ხმოსნები არ შეიკრიბნენ და საკითხიც იმიტომ გადაიდო. უკვე აღვნიშნეთ რომ ტფ. საგუბერნიო მთავრობამ უარჰყო ქალაქის გამგეობის შუამდგომელობა ქალაქის იმ 1000 მანეთისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელიც მოითხოვა მთავრობამ „შრომის ბირჟის" უზრუნველსაყოფელად. რადგანაც საბჭოს ეს დადგენილება საგუბერნიო მთავრობამ არ შეიწყნარა, ამიტომ გამგეობის დადგენილების თანახმად საბჭომ გადასწყვიტა განასაჩივროს იგი სენატში. შემდეგ საბჭომ დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა 17,825 მან. ჯარის ბინების ქირად. დასასრულ საბჭომ ამოირჩია დამატებითი წევრები სასკოლო, სარევიზიო და ხალხის ჯანმრთელობისთვის მზრუნველ კომისიებში.

✦ **ცარცვა-გლეჯა.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: ბაქოში ბოროტ-განმზრახველები თავს დაეცნენ ცირკის პატრონს პერვილს, გაიტაცეს 1000 მანეთი, სასიკვდილოდ დასჭრეს „გოროდოვოი" და მიიმალნენ.

✦ **ქალთა კომისია.** წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარემ მიიწვია ახლად არჩეული ქალთა კომისია და გადასცა დავთრები და საკვიტანციო წიგნაკები. წერა-კითხვის საზოგადოების დამახმარებელი ქალთა კომისია გამართავს კონცერტებს, საღამოებს, სეირნობებს და სხვა გასართობებს.

✦ **მკვლელობა.** ქართლიდან გვატყობინებენ: 1 იანვარს 1910 წ. სოფ. ქვემო ხვითში (გორის მაზრა) გიგო მეგრელიშვილის სახლში დაპატიჟებული ყოფილა იმავე სოფლის მცხოვრები სანო ზაქარიას ძე დაკოშვილი, კარგა ხანი ერთად უსვამთ. მერე რაღაზედაც ჩხუბი მოსვლიათ. მეგრელიშვილს დაკოშვილისთვის სამჯერ ბებუთი დაურტყავს და იქვე მოუკლავს. მეგრელიშვილი შეუპყრიათ.

✦ **ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება.** როგორც ვწერდით, ტფ. წვრილ ვაჭართა და რესტორან-სასტუმროების პატრონთა საზოგადოებანი შეერთდნენ ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების სახელით, შეიმუშავეს წესდება, რომელიც უკვე დაამტკიცდა. 15 იანვრამდე მოხდება საზოგადო კრება ახალ საზოგადოების წევრთა მთავარ გამგეობისა და უბნის კომიტეტების წევრთა ასარჩევად და მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ **იარაღის აღმოჩენა.** „კასპის" სიტყვით, 2 იანვარს ბაქოში ჟანდარმებს აღმოუჩენიათ 1300 ბერდანის პატრონა, 10 რევოლვერი და 2 ბერდანა. იარაღი მატარებლით მოსულა. ჟანდარმებს ეჭვი შეუტანიათ და ყუთი გაუხსნიათ. ყუთის პატრონი მიმალულა.

✦ **თავის მოკვლა.** ტფ. რეალურ სასწავლებლის მე-7 კლასის მოწაფემ, ნიკოლოზის ქუჩაზე მცხოვრებმა, რუბენ ჩიმიშკიანმა ღამის 10 საათზე მამის სახლში რევოლვერით თავი მოიკლა. მიზეზი თავის მოკვლისა არ არის გამორკვეული.

✦ **„ჯეჯილის"** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის" დეკემბრის ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია ნაწარმოებნი ეკ. გაბაშვილისა, ან. წერეთლისა, შ. მღვიმელისა, მარიამ გარიყულისა, გ. ქიჩიშვილისა, ზომლეთელიძისა, ლადო გეგეჭკორისა და სხვ.

✦ **სამხედრო სამართალში მიცემა.** მკითხველს ეხსომება, რომ ამ რამდენიმე დღის წინად რაჭაში სასიკვდილოდ დასჭრეს ამიერ კავკასიის სათევზაო ადგილების გამგე პუშკარევი. პუშკარევის დამჭრელი სამხედრო სამართალში მიუციათ.

✦ **ექსკურსიები.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: კიევის უნივერსიტეტის სტუდენტების ექსკურსია (კიევიდან ქუთაისში) წამოსული კიევიდან 16 დეკემბერს, ტფილისიდან უკან დაბრუნდება 15 იანვარს (საფოსტო მატარებლით, № 4, საღამოს 11 საათ. 40 წუთი). ჩაწერა და ფულის მიღება შეიძლება სტუდენტს გიორგი აბულაძესთან 10 იანვრამდის, ბაგრატიონის ქუჩა, № 24. მეორე ექსკურსია კიევის საკომერციო ინსტიტუტთა, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტი დუმბაძე, მიემგზავრება ტფილისიდან კიევს 15 იანვარს. ფასი 5 მან. და 50 კაპ. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ და გაგზავნონ ფული ამ ადრესით: ოზურგეთი, სტუდ. დუმბაძეს. ჩაწერა შეიძლება 10 იანვრამდის.

✦ **საღამოს გადადება.** მცხეთის მონასტრის სკოლის სასარგებლოდ 8 იანვრისთვის დანიშნული საღამო გადაიდო ოცდა ოთხ იანვრისთვის. ბილეთები ამ დღისთვის გამოდგება.

✦ სოფ. ნადარბაზევიდან (გორის მაზრა) 30 დეკემბერს მიდენილა თავის სოფელში ნიგოზაში ვლადიმირ აბრამის ძე დათუნიაშვილი. დათუნიაშვილი ძალზედ ნასვამი ყოფილა. გზაში დაუძინია. იმავე ადგილას მეორე დღეს მკვდარი უნახავთ. იგი უსიცივისაგან მომკვდარა.

✦ 4 იანვარს ეტლით სახლში დაბრუნებულა ნორაშენის ქუჩაზე მცხოვრები სტეფანე ტერ-ოტანოვი და სახლობისათვის განუცხადებია, ესენციით მოვიწამლეო. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც იგი ცოტას ხანს შემდეგ გადაიცვალა.

✦ 4 იანვარს დააპატიმრეს არშაკ ზურაბოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან ჯიბგირობისათვის გადაუსახლებიათ, მაგრამ იგი თავის ნებით გამოქცეულა და უპასპორტოდ სცხოვრებდა. ამავე დღეს პოლიციის მე-4 და მე-8 ნაწილში დააპატიმრეს 14 უპასპორტო კაცი.

## მოწერილი ამბავი

**დ. ონი.** დიდი ხანია არსებობს ონში უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. წინად, როცა უფრო გულ-შემატკივარი მმართველები ჰყავდა, საქმეც კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ სამკითხველოს საქმე თან-და-თან უკან წავიდა. წარსულ-წლებში ქართულ ჟურნალ-გაზეთების გარდა რუსულიც მოსდიოდა. დღეს-კი „დროებისა" და „მომავლის" გარდა სხვა არაფერი მოსდის. ამის გამო მკითხველებიც მოაკლდა სამკითხველოს. ამ ბოლო დროს ხომ სამკითხველო საყოველდღეო სამუსაიფო და სათათბირო კლუბად გადაიქცა. აქ იკრიბებიან მხოლოდ თავის შესაქცევად და ლაპარაკობენ ამინდზე და სხვა ამგვარ რამეებზე, გაზეთისა და წიგნის კითხვა-კი შეიძლება ათში ერთს მოუვიდეს აზრად, მაგრამ მასაც სხვები უშლიან. მოვუწოდებთ სამკითხველოს მმართველ წევრებს, მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება. **გუგული.**

—

**ამაშუკეთი** (იმერეთი). როგორც გვცით, შორაპნის მაზრის მომრიგებელ შუამავლის ა. წერეთლის ინციატორობით ს. ამაშუკეთში არსდება სამოქალაქო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი. ყველასათვის აშკარაა, რომ არსებობა სოფლად არა თუ სამოქალაქო 4 კლასიან სასწავლებლისა, არამედ პირველ დაწყებით სკოლისაც დიდს სამსახურს გაუწევს ხალხს, თუ ასეთი სკოლების პროგრამა შეესაბამება დღევანდელ ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებას. აქვე საჭიროდ ვრაცხ ორიოდე სიტყვით აღვნიშნო დღევანდელ სამოქალაქო სასწავლებელთა ნაკლოვანებანი. საქართველოში სამოქალაქო სასწავლებლები არსებობენ 1872 წლის დებულების თანახმად. როგორც ყველგან მთავრობის სასწავლებლებში, აქაც ქართული ენა აბუჩად არის აგდებული. სამოქალაქო სასწავლებლიდან სრულიად განდევნილია სამშობლო ისტორია, სამშობლო გეოგრაფია და სამშობლო ლიტერატურა. არ არსებობს ამ სასწავლებლებთან სამეურნეო, სახელოსნო და ხატვისა[?] განყოფილებანი, რისგანაც დიდი სარგებლობა [illegible] სასწავლებლის არც სამოქალაქო განათლების და არც სპეციალურ საშუალო სასწავლებლის პროგრამას. ასე რომ კურს დამთავრებულთ თავისუფლად არ შეუძლიან შესვლა რომელსამე საშუალო სასწავლებლებში. ასე გასინჯეთ სამოქალაქო სასწავლებლებში კურს დამთავრებულს, თუ არ მომზადდა, გიმნაზიის მეორე კლასშიაც გაუჭირდება შესვლა. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მაგალითად, სამოსწავლებლო ინსტიტუტში, მათთვის საკონკურსო ეგზამენია დანიშნული.

როდესაც უმაწვილი ათავებს სამოქალაქო სასწავლებელს, ის აქეთ-იქით ეცემა, ეძებს მოხვდეს სადმე საშუალო სასწავლებელშიო, მაგრამ ვერ აღწევს წადილს. სამეურნეო ცოდნა მას არ აქვს, რომ მეურნეობა დაიწყოს სოფლად; პედაგოგიურ მომზადებაზე მწერალად არის, რომ მასწავლებლობა იკისროს. ისევ პოლიციურ სამსახურს და სხვა პატარა მოხელეობას ჰკიდებს ხელს. აქედან აშკარაა, რომ დღევანდელი სამოქალაქო სასწავლებლები გვიმზადებენ პატარა მოხელეებს, რითაც ჩვენი კურთხეული ქვეყანა უიმისოდაც მდიდარია.

საქართველო მეურნეობის კუთხეა, ამიტომ ეს კუთხე უფრო საჭიროებს სამეურნეო ცოდნით აღჭურვილს მეურნეს. ბევრჯერ მსმენია ჩვენი გლეხ-კაცებისაგან შემდეგი: „ჩვენ, შვილებს სწავლას მივსცემთ, მაგრამ ერთ ხელში წიგნი უნდა ეჭიროს ჩვენს შვილს, მეორეში-კი სამეურნეო იარაღიო". ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება ს. ამაშუკეთში დაარსდეს სამ-კლასიანი სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც მთელი ძირულის ხეობის გლეხკაცობა სიხარულით მიეგებება და არ დაიშურებს თავის წვლილს. სამოქალაქო სასწავლებელი-კი უკვე არსებობს ყვირილაში და ბელაგორშიაც აპირობენ გახსნას.

**ლორეშელი კაცი.**

## შ ა ვ ი-ქ ვ ა

მსხვილი წარმოების უპირატესობა წვრილ წარმოებასთან შედარებით. ჭიათურის შავი ქვის მნიშვნელობა.—მისი წარმოების დაქვეითება.—რა არის ამისი მიზეზები?—ჭიათურის რკინის გზის ტარიფი,—წარმოების პრიმიტიული ტეხნიკა.—შრომის და წარმოების ორგანიზაცია.—კომერციული ორგანიზაცია.——წვრილი მრეწველები. — საბჭო და მრეწველთა კრება.—რა უშველის ჭიათურას? დასკვნა.

სამთო-მადნო მრეწველობა თავის თავად მსხვილ წარმოების დარგს ეკუთვნის. მსხვილ წარმოებას დიდი უპირატესობა აქვს წვრილ წარმოებასთან შედარებით. აქ ვითარდება საწარმაო ძალთა საშუალებანი და ტეხნიკა, რომელიც თავის მხრით აუმჯობესებს და აიაფებს ნაწარმოებს და ჰხდის ყველასათვის ხელმისაწვდენად, მუშათა საკითხიც მსხვილ წარმოებაში უფრო ვითარდება. აქ მუშის მატერიალური მდგომარეობაც შედარებით, უკეთესია ვიდრე წვრილ წარმოებაშიო მუშა მეტ ხელფასს იღებს, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ იგი აქ უფრო ბედის კმაყოფილია, პირიქით, რამდენად მსხვილია წარმოება, იმდენად მუშა ზედ მეტს ღირებულებას აძლევს კაპიტალისტს მაგრამ რამდენად მუშა მეტ ხელფასს იღებს, იმდენად მისი მოთხოვნილება ფართოვდება, იგი სულ უკეთესისაკენ მიილტვის. მსხვილ წარმოებაში უკეთესი პირობებია მუშის პოლიტიკურ-ეკონომიურ და სოციალურ აღზრდისათვის.

მსხვილ წარმოების განსავითარებლად მსხვილი კაპიტალია საჭირო. ეს უკანასკნელი-კი მსხვილ ბურჟუაზიასა ჰქმნის. საკითხავია: საჭიროა თუ არა ეხლანდელ კაპიტალისტურ წარმოების ხანაში ერის პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარებისათვის, რომ მსხვილი კაპიტალი ეროვნულ ბურჟუაზიის ხელში გროვდებოდეს, ან, უკეთ რომ ვთქვათ,

მსხვილ ნაციონალურ წარმოების სათავეში ნაციონალური ბურჟუაზია იდგეს? ძალიან საჭიროა, ვამბობთ ჩვენ. მართალია, მშრომელ ხალხისთვის სულ ერთია ვის მიაქირავებს თავის სამუშაო ძალას, ანუ, უბრალოდ რომ ვსთქვათ, ვინ იქნება მისი გამყვლეფი—შინაური თუ გარეული, მაგრამ ეკონომიურ გაყვლეფის გარდა თანამედროვე მუშას სხვა რამაც აინტერესებს,—ეს მისი პოლიტიკურ-სოციალური აღზრდაა. აქ კი უფრო მეტს სამსახურს ეროვნული ბურჟუაზია გაუწევს, ვიდრე სხვა ერის ბურჟუაზია. ნაციონალური ბურჟუაზია ჰქმნის ნაციონალურ პროლეტარიატს. პირველის ორგანიზაციები ანვითარებენ და აძლიერებენ მეორის ორგანიზაციებს. განა აქ არ არის თანამედროვე კლასთა ბრძოლის პრინციპის განხორციელება ნაციონალურ ნიადაგზე, რომელიც ძალაუნებურად ინტერნაციონალიზმისაკენ მიგვაქანებს?

რას წარმოადგენს ამ მხრით ჭიათურის წარმოება? რუსეთში, დონეცის ქვა-ნახშირისა და ბაქოს ნავთის წარმოების გარდა, ჩვენ ნაკლებად გვეგულება უფრო დიდი წარმოება, ვიდრე ჭიათურის შავი ქვის წარმოებაა: მთელს მსოფლიო ბაზარზე ჭიათურის წარმოებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. შავი ქვის (მარგანეცის) მოთხოვნილება ბაზარზე თან და თან მატულობს. მარგანეცს უმეტეს ნაწილად ფერომარგანეცის სახით (ერთნაირი თუჯია) რკინისა და უფრო ფოლადის ფაბრიკაციაში ხმარობენ.

ჩვენი საუკუნე ნამდვილი რკინის და ფოლადის საუკუნეა. აბა გადახედეთ სამრეწველო გეოგრაფიულ რუქას. მთელი ჩვენი დედა-მიწა ყოველის მხრით რკინის გზებით იხლართება: ევროპაში, აზიაში, ამერიკაში, ავსტრალიაში და აფრიკის უდაბნოებშია კი-კი ორთქმავალმა გუგუნი დაიწყო. ქალაქებში ქუჩებიც რკინის გზებით დაიხლართა. სოფლები ქალაქებს შეუერთდა. ოკეანებშიაც-კი აღარ დარჩა კუნძულები, რომ ადამიანს რკინისა და ფოლადის ლიანდაგებით არ მოექედოს. ლიანდაგებზე ლოკომოტივები და ვაგონები დასრიალობენ, ესენიც რკინისა და ფოლადისგან კეთდება ამით არა თავდება რკინისა და ფოლადის მნიშვნელობა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ორთქლი, გაბატონდა ამან გამოიწვია ორთქლის ქვაბებისა და მოტორების კონსტრუქცია. ამ ბოლო დროს ორთქლის ადგილი გაზმა და ელექტრონმა დაიჭირა. ამათ თან მოჰყვა წყლის მოტორები (ტურბინები), და ჰაერომატორები,—აქაც რკინა და ფოლადი ბატონობს. ადამიანმა ზღვა და ოკეანი დაიმორჩილა, სავაჭრო და სამხედრო ფლოტი გაიჩინა,—ესეც რკინისა და ფოლადისაგან შენდება. ამ ბოლო დროს ადამიანი ჰაერსაც მისწვდა და მასზე ფრენა და ცურვა დაიწყო, ეხლანდელ დირიჟაბლების და ჰაეროპლანების კონსტრუქციაში რამდენიმედ მაინც რკინა და ფოლადი ურევია. ინდუსტრიალიზმა მილიტარიზმი და მარინიზმი უმწვერვალეს ხარისხამდე განავითარა: კრუპეები, კრეზოები, კოკრილები და სხვები უზარმაზარ ზარბაზნებს ასხამენ, კრეისერებს და დრედნაუტებს (ახალი ტიპის უზარმაზარი გემია) ზღვაში უშვებენ, რომ რკინით და ფოლადით შეკრული მიუვალი ციხეები დაანგრიონ. და განა შემძლეა ჩამოვთვალო ყველაფერი, სადაც რკინასა და ფოლადს ხმარობენ? ამისათვის ეძახიან ჩვენ საუკუნეს რკინის და ფოლადის საუკუნეს და რადგან მათ ფაბრიკაციაში მარგანეცს დიდი წილი უდევს, ცხადია თუ რა უზომო მნიშვნელობა ჰქონია ჭიათურის მარგანეცს თანამედროვე ინდუსტრიის განვითარებაში.

სანამ ჭიათურა მარტო იყო მსოფლიო ბაზარზე და მეტოქე არავინა ჰყავდა, შავ ქვას დიდი ფასი ჰქონდა: ფუთი 25-35 კაპეიკამდის ფასობდა თვით ჭიათურაში. ამ ხანას ოქროს ხანად სთვლიან ჭიათურის წარმოების ისტორიაში. ნამდვილად კი ამ ხანაში მარგანეცის მოთხოვნილება მეტის-მეტად სუსტი იყო. ამ დროს ფერო-მარგანეციც ძვირად ფასობდა და რადგან ამ უკანასკნელს ფოლადის ფაბრიკაშიაც ხმარობენ, ამ ხნებში ფოლადიც ძვირი იყო და მისი მოთხოვნილება, როგორც ძვირი საქონლისა, დიდი არ იყო. ამ ბოლო დროს ჭიათურას მსოფლიო ბაზარზე მეტოქეებად გაუჩნდნენ მარგანეცის მსხვილი მწარმოებელი ქვეყნები — ბრაზილია და ინდოეთი, ამ დღიდან ჭიათურის ქვის ფასი თან და თან ეცემა. წელს მაინც ქვის ფასი ისე დაეცა, რომ $4^1/_2$—5 კაპეიკს არ აღემატება თვით ჭიათურაში. ეს იმას მოწმობს, რომ ბრაზილიამ და უფრო ინდოეთმა მსოფლიო ბაზარზე უკეთესად დამუშავებული ქვა გამოიტანეს უფრო იაფად, ვიდრე ჭიათურამ.

თანამედროვე ინდუსტრიალიზმის კანონების ძალით, მსოფლიო ბაზარზე ის იმარჯვებს, ვინც უკეთესად არის შეიარაღებული და კარგს ნაწარმოებს იაფად ასაღებს. ვინც ამ უკანასკნელ წლის სტატისტიკას გაეცნობა (იხ. „Статистика марганц. дѣла 1909“ გვ. XVI), ის დარწმუნდება, რომ ამ ათი წლის განმავლობაში ბრაზილიაში და ინდოეთში ქვის წარმოება მეტის მეტად ინტენსიურია. ამ ხნის განმავლობაში ქვის წარმოება ამ ქვეყნებში ყოველ წელიწადს პროგრესიულად მატულობს. ჭიათურაში კი წარმოება პერიოდიულად ხან დიდია, ხან სუსტი. ზოგ წელიწადს ბევრს ამუშავებენ და ბევრიც გააქვთ, ზოგჯერ ან ცოტა ან სულ არა. ერთის სიტყვით ჭიათურის წარმოება იმაზედაა დამოკიდებული, თუ რა ფასი აქვს ქვას მსოფლიო ბაზარზე“ როგორც კი ფასი აიწევა წარმოება გაჩაღდება, ყოველ მხრიდან აწყდებიან ჭიათურას ვითომ და მრეწველები, ვისაც ადვილად გამდიდრების სურვილი გაჰღვიძებია. ყველა სცდილობს, რაც შეიძლება მეტი ქვა გამოჰგლიჯოს დედამიწის გულს და დიდ ფასებში გაასაღოს. არავინ არ კითხულობს, თუ როგორია მოთხოვნილება აწმყოში და არავის არა აქვს გათვალისწინებული, თუ როგორი იქნება ეს მოთხოვნილება ახლო მომავალში. როდესაც ფასი დაიკლებს, როგორც წელს, მაშინვე ქვის დამუშავება სწყდება, მაღაროები იკეტება, მუშები შარა გზაზე რჩებიან; წინა წლებში მტაცებლობის სისტემით დამუშავებული ქვა პლატფორმებზე უზარ-მაზარ მთებს წააგავს; მრეწველები ჭიათურიდან მიიპარებიან. ასეთია მოკლედ ჭიათურის წარმოების სისტემა. Mineur.

(შემდეგი იქნება)

## შორეულ აღმოსავლეთი

**ამერიკის პროექტი.**

„რეჩ“-ის თანამშრომლებს სხვა და სხვა მცოდნე პირებთან უსაუბრნიათ ამერიკის სენსაციონურ პროექტზე. ერთს რუს დიდ მცოდნეს შორეულ აღმოსავლეთის საქმეებისას, უთქვამს:

საჭიროა კაცმა ბევრი რამ იცოდეს. რა მდგომარეობაშია ვლადივოსტოკი? რა მდგომარეობაშია ჩვენი დამცველი ფლოტი შორეულ აღმოსავლეთში? რაღა თქმა უნდა, მე არას ვამბობ მებრძოლ იერიშის მიმტან ფლოტზე, რადგან ესეთი ფლოტი ჩვენ სულ არა გვაქვს. როგორი მდგომარეობაშია ციმბირის მეორე ლიანდაგის აშენება? რა ურთიერთობა გვაქვს ჩინეთთან ან იაპონიასთან? ვინც ეს არ იცის, მისთვის ძნელია იმის გამოცნობა,— საზარალოა რუსეთისთვის ამერიკის წინადადება, თუ სასარგებლო.

მაინც ვფიქრობ, რომ ამერიკელების წინადადებას უბრალოდ, ხელის აქნევით ვერ მოვიშორებთ. იგი ღირსია ძლიერ დიდის ყურადღებისა მეტად დიდი შეცდომა იქნება, თუ ცრუ თავმოყვარეობისა და ცრუ პატრიოტიზმის თვალით შევხედავთ ამ პროექტს, რადგან ცრუ პატრიოტიზმიცა და ცრუ თავმოყვარეობაც საკმაოდ. ვცადეთ და მათ მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყვა.

— მაშ თქვენ თანაუგრძნობთ ამერიკის პროექტს.

— ვიმეორებ, მე ბევრი დიპლომატიური საიდუმლოება არ ვიცი და ამიტომ არ შემიძლიან იმის გამოცნობა, ამერიკის პროექტს უფრო უარესი ამბები ხომ არ მოჰყვება.

— რანაირად?

— აი რანაირად. ვთქვათ, ჩვენ დავთანხმდით ამ წინადადებას. ევროპა დასთანხმდება? იაპონია? ნუ გავიწყდებათ, რომ რუსეთმა შორეულ აღმოსავლეთში ზურგი გაიშიშვლა და სანამ ევროპა მანჯურიის ნეიტრალიზაციის თადარიგში იქნება, იაპონიას შეუძლიან ამ შიშველა ზურგში მოსცხოს რუსეთს. იქნება იაპონიას მშვიდობიანობისა და მეგობრობის მეტიც არა ედოს რა გულში, მაგრამ კაცი ყოველთვის უარესს უნდა მოელოდეს.

— პრინციპიალურად ხომ მაინც თანაუგრძნობთ ამ პროექტს. რუსეთისთვის სასარგებლოდა სცნობთ?

— რუსეთისთვის ღვთის წყალობად მიმაჩნია სწორედ. როდესაც მანჯურია დიდ სახელმწიფოების კონტროლს ქვეშ იქნება, რუსეთსაც, რასაკვირველია, თავისი წილი გავლენა ექნება ამ კონტროლში, ისეთი როგორიც შეეფერება მის საერთაშორისო და გეოგრაფიულ მდგომარეობას. ამას გარდა მაშინ ჩვენი საზღვარიც უზრუნველყოფილ გახდება და შორეულ აღმოსავლეთში დამკვიდრდება მშვიდობიანობა. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მანჯურიის ნეიტრალიზაცია უკვე განხორციელებულ იქნება, ეხლა საქმე იმაშია, იაპონია რაიმე მოულოდნელ საქციელს ხომ არ ჩაიდენს: ხომ არ დაგვეცემა უცებ და ვლადივოსტოკის წართმევას არ მოინდომებს? იაპონია რომ ასე მოიქცეს,—რას იზმენ დიდი სახელმწიფოები? გვიშველიან, თუ გარედან დაუწყებენ ცქერას სეირს? უზრუნველჰყოფენ მშვიდობიანობას ჩვენს პროვინციებში იაპონიის მოქმედება, თუ სხვა დიდ სახელმწიფოებისა დამოკიდებულია საზოგადო პოლიტიკურ პირობებზე, ხოლო მე, როგორადაც არა დიპლომატს და დიპლომატიურ საიდუმლოებაში არ ჩახედულს, ჭკუენებული პირობები ცოტა არ იყოს დახლართულად მეჩვენება... არ ვიცი, როგორ წავა საქმე.

**ჩინეთის ჯარი ჩრდილოეთ მანჯურიაში.**

ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჯარის ახალი კორპუსები შეადგინოს ჩრდილოეთ მანჯურიაში. ამას გარდა, მან გადასწყვიტა ჩრდილოეთ მონგოლიაშიაც მოუმატოს ჯარის რიცხვს. მანჯურიის მთავარ-მართებელმა ბეჯითად მოითხოვა ჩინეთის მთავრობისაგან საზღვარზე ჯარის გაძლიერება, რომ რუსებს არ შეეძლოთ საზღვრის ახლო მდებარე ადგილებში შემოსვლა. მთავარ-მართებლის მოთხოვნილებას თანაგრძნობით შეხვდა ჩინეთის სამხედრო საბჭო.

**რკინის გზები რუსეთ-ჩინეთის საზღვარზე.**

ჩინეთის სამხედრო და გზათა სამინისტროები ადგენენ პროექტს, რომლის თანახმად რუსეთის საზღვარს ახლო მრავალი სტრატეგიული რკინის გზა უნდა აშენდეს.

**ნაწნავების გაკრეჭა.**

ჩინელებმა დაიწყეს ნაწნავების გაკრეჭა. პირველი მაგალითი ხალხს მოსწავლე ახალგაზრდობამ უჩვენა. ამ ფაქტმა რადი გამოიწვია უკმაყოფილება, პირიქით ხალხმა მოიწონა კიდეც ახალგაზდების საქციელი.

## თეატრი და ხელოვნება

**ხონი.** 27 ქრისტიშობისთვეს წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ გამართა სალიტერატურო, სამუსიკო და საცეკვაო საღამო. მონაწილეობას იღებდნენ დათიკო მესხი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი. მიუხედავად იმისა, რომ მეტად ცუდი ამინდი იყო, ხალხი მაინც საკმაო დაესწრო. ეს კი ბილეთების ხელზე გაყიდვის წყალობით მოხდა. ვინც ცარიელ სიტყვების ბრახა-ბრუხით აყრუებს ყურებს, მათ საქმის დროს უკან დაიხიეს და მიგზავნილი ბილეთები უკანვე დააბრუნეს.

ამ საღამოს პირველად წარმოადგინეს ორი კომედია—ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“ და „უბედური დღე“. ორივე საუცხოვოდ ჩაატარეს. ყურადღება მიიქცია ი. მამფორიამ. უნდა აღვნიშნო, რომ ილ. მამფორიას კომიკურ როლებში ნიჭი აქვს. აგერ ხუთი წელიწადია, რაც ხონის სცენაზე თამაშობს კომიკურ როლებში და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ატკბობდა საზოგადოებას. ვოდევილმა ცოცხლად ჩაიარა.

შემდეგ წაიკითხეს ლექსები და სცენები. პირველად პატივცემულმა ბ-ნმა ალექსი ჭიჭინაძემ წაიკითხა „მეფე ირაკლის გოდება კრწანისის ველზედ“, „ბედი ქართლიდან“, ნ. ბარათაშვილისა. ლექსის წამკითხველი ხანგრძლივის ტაშის-ცემით დააჯილდოვა დამსწრე საზოგადოებამ. წაკითხულ იქმნა აგრეთვე შემდეგი ლექსები: „მერანი“ ნ. ბარათაშვილისა, „მეურმე“ ბ. ახოსპირელისა, „მტარვალს“ ილია რუხაძისა და „სამშობლოსადმი“. მშვენიერად წაიკითხა ილია მამფორიამ დათიკო მესხის სცენა „ცოლის შერთვა მინდა“. იმღერეს ვლ. ბახტაძის ლოტბარობით. დათიკო მესხმა წაიკითხა ბოლოს სამი სცენა.

ეს იყო თეატრის დარბაზში. ამის შემდეგ კი ივ. შარაშიძის სახლში გაიმართა საცეკვაო საღამო.

საღამო წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ იყო. საჭიროა ხშირ-ხშირად ასეთ საღამოების გამართვა. წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობის ერთმა წევრმა განაცხადა ამავე საღამოზე, რომ ჩვენ გადავსწყვიტეთ გავმართოთ ხოლმე 29 ივნისს სახალხო სეირნობა, ხოლო 24 დეკემბერს ასეთი სალიტერატურო და სამუსიკო საღამოო.

ვანმე ივერიელი

## ოსმალეთი

**ოსმალელი აფიცრები და გერმანელი ინსტრუქტორები.**

ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან, რომ ოსმალელ აფიცრებს და გერმანელ ინსტრუქტორებს სერიოზული შეტაკება მოუვიდათ. გერმანელ გენერლის იმგოფის ლექციის დროს, მსმენელთ არ მოეწონათ თურმე ლექტორის განმარტება და ოსმალელმა აფიცრებმა დემონსტრატიულად გამოუცხადეს გენერალს: თქვენს კითხვებზე პასუხს არ მოგცემთო. იმგოფმა ლექცია შესწყვიტა და დარბაზიდან გავიდა. მეორე შემთხვევაში გერმანელმა ინსტრუქტორმა აფიცერმა სწავლების დროს „ვირი“ დაუძახა ოსმალელ აფიცერს; ოსმალელმაც გინებით უპასუხა. დანარჩენი ოსმალელი აფიცრებიც თავიანთ ამხანაგს მიემხრნენ. ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა აფიცრებს დაუჭირა მხარი.

**ოსმალეთის საელჩოს განცხადება.**

ოსმალეთის საელჩოებმა შემდეგი განცხადება დაბეჭდეს უცხოეთისა და რუსულ პრესაში: „ევროპის პრესამ გაავრცელა ხმა, ვითომ არზრუმის პროვინციაში უწესობება მომხდარიყოს. ოსმალეთის მთავრობა გადაჭრით უარ-ჰყოფს ამ ხმას. ტყუილია აგრეთვე ის ხმაც, ვითომ არზრუმის პროვინციაში მიწის ძვრა მომხდარიყოს“.


## განცხადებანი

მედიცინის ფერშალი
**ი. ს. ბოქერია.**
დიდუბე, შერემეტიევის ქუჩა, № 27.
ვუცრი ბავშვებს ყვავილს, ვუხვევ ჭრილობებს, ვუკეთებ მასსაჟს და სხვა. ყოველ დღე საღამოს 3 საათიდან. (2—806—1)

იაფი შემოწმებული საათი
შეიძლება იყიდოთ მხოლოდ
ა. გოლდ-შტეინთან
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ვერცხლისა და ოქროს ნივთები სულ იაფად. (10—ხალ.—7)



160—200 საჟ.
მსურს შევიძინო ქართულ გიმნაზიის ახლო. ადრესი. ანანურის ქ. (დუშეთის ქ.) № 3. (3—805—3)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—34)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—28)

„სორაპანის“ ამხ. გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
ნ. ბარათაშვილის
სრული ლექსთა კრებული
ბიოგრაფიულის ცნობებით.
ფასი 10 კაპ. (5—6.—3)

გრამოფონების მეგობრებისა და მოყვარულების
საყურადღებოდ.
სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე, აზოვო-დონის ბანკის პირდაპირ,
გრიგოლ სერგეის ძე დავიდოვმა გახსნა
გრამოფონებისა და ფირფიტების ახალი საწყობი
მ იღებულია აუარებელი ორპირიანი ფირფიტა ზონოფანის ქარხანა და სააქციონერო საზოგადოება
„გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“
საქარხნო მარკით: ანგელოზი კალმით ხელში.
ქალაქ გარეშე მყოფ მყიდველების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ რადგან საწყობს აუარებელი საქონელი მოუვიდა, ამიტომ დაკვეთილი საგანი სწრაფად და ხელად გაეგზავნებათ. (5—5—1)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНИИ ЗИНГЕРЪ
1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან
ხელის მაშინები 25 მანეთიდან
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაქ.—19)
THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK

პროვოდნიკის
ФАБРИЧ. КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА
1897 წ. 1908 წ. 1888
ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА
ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
იყიდება ნაღდად და ცალობით:
დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.
დარეზინებული **ჩამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;
დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;
**რეზინის ღრუბელი;**
**საყარცხლები** რქის რეზინისაგან;